572
1961

ეროვნული ბიბლიოთეკა




# დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!"

№ 6 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ივნისი 1961

**1 ივნისი** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

# სალამი აფრიკელ ბავშვებს



ბიადღებოდნენ ბავშვები,
ტკივილებს გრძნობდნენ იმწამს,
ნანინად კვნესა ესმოდათ,
აკვნებად ჰქონდათ მიწა;

პერანგად—კანის სიშავე,
პალმის ფოთოლი—საბნად,
იმათი ცოდვით სიპი ქვაც
ატირდებოდა ალბათ.

ჩვენც გვაფიქრებდა ყოველთვის
ზანგი ბავშვების ბედი,
მათთან მრავალჯერ ვაფრინეთ
ჩვენი ოცნების მტრედი.

მათთან ვართ ჩვენი ფიქრებით
ჭირის და ლხინის დროსაც.
აფრიკამ მძლავრად გაშალა
თავისუფლების დროშა.

თვალუწვდენელი ქვეყანა
ფეხზე წამოდგა ბორგვით,
ზღაპრული ამირანივით
ამსხვრევს მონობის ბორკილს.

**თ. ჯანგულაშვილი**

მზის და ზაფხულის ქვეყანას
ედგა უკუნი ღამე,
დაჭფარფატებდა ყორანი
ცრემლით დანამულ ხრამებს.

დააბოტებდა ბატონი
მათრახითა და ჯოხით,
დიდხანს ელოდა მზის მოსვლას
ბიძია თომას ქოხი.

შიმშილით იტანჯებოდა
მდიდარი ქვეყნის ხალხი,
შრომისგან წელში წყდებოდა
კაცი, ქალი თუ ბალღი.



ბანანების ჩრდილში
ყმაწვილები სხედან,
ის მოზრდილი ბიჭი
რას უყვებათ ნეტავ?

რას უყვებათ?—ვიცი
და იმ ბიჭსაც ვიცნობ,
ყველა თქვენგანს ვიცნობ,
ძმებად შესაფიცნო.

ეგ ბიჭი კი შარშან
ჩვენთან იყო თბილისს,
შორეული მოძმე
და სტუმარი ტკბილი.

ჩვენს მამულზე ჰყვება
მეგობარი ჩვენი,
პიონერი ბიჭი,
ბიჭი გვინეელი.

ბანანების ტევრი,
პურის ხე და ბზა,
ყვავილები ბევრი,
ქვიშიანი გზა.

გადაწმენდილ ცაზე
მზე იწონებს თავს
და წკრიალებს გზაზე
გოგო-ბიჭის ხმა.

თოვლისფერი კბილი,
კუპრისფერი თმა,
გოგო ჩემი დაა,
ბიჭი—ჩემი ძმა.

ზანგი ბავშვი ლაღად
აღებს სკოლის კარს,
მშობლიური ზრუნვა
დასტრიალებს გარს.

მოელვარე თვალში
უდგას შუქი მზის
და დაფაზე „მოსკოვს"
პირველად წერს ის.

ეს შორეული აფრიკა
მართლა შორსაა განა?
ჩვენი გულწრფელი სალამი
გვინეასა და განას!

სალამი ქვეყნებს—გახვეულთ
ბრძოლების ცეცხლის ალში,
ლუმუმბას კონგოს მიწა-წყალს,
ანგოლასა და ალჟირს!

წმინდა, ნათელი გული აქვთ,
შავი აქვთ კანის ფერი,
აფრიკელ ბავშვებს—
ჩვენს და-ძმებს
ჩვენი სალამი წრფელი!

ნახატები გ. თოთიბაძისა





ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხელოსანი



ვ. კახაძე

ნახატი ზ. კაპანაძისა

მამუკა და გენო მეორე კლასის მოსწავლეები არიან. ერთ მერხზე სხედან. იმ დღეს ბოლო ზარი რომ დაირეკა, ყველა წავიდ-წამოვიდა. მამუკა და გენო ადგილზე დარჩნენ. გენოს ვერ მოესწრო დაფიდან საშინაო დავალების გადაწერა. მამუკა კარნახობდა, გენო კი იწერდა. გენომ გადაწერა რომ დაამთავრა, ბიჭები ერთდროულად წამოცვივდნენ—ორივეს სურდა გაესუფთავებინა დაფა. გენო სკამს დაეჯახა და ისიც ხმაურით დაენარცხა იატაკს. მამუკამ დაფა რომ გაწმინდა, მოიხედა. გენოს ხელში სკამის ფეხი ეჭირა, სკამს ფეხი ამოვარდნოდა.

— ალბათ სჭვალი არ ჰქონდა, თორემ არ ამოვარდებოდა,—თქვა მამუკამ და სკამის ფეხი ჩამოართვა ამხანაგს.

— რა ეშველება ახლა ამას!—ჩაიბუტბუტა გენომ,—მოდი, ის ლურსმანი მოვამროთ და დავაჭედოთ.

— ეს ლურსმანი ხომ ჩვრისთვისაა,—თავი გააქნია მამუკამ.

— შინიდან მოვიტან ლურსმანს,—თქვა გენომ.

— არა, ლურსმნის დაჭედება მაინც არ შეიძლება, ტანისამოსს დახევს. ბაბუა ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა შეუძლოდ მყავს. თუ უკეთ იქნება, ვთხოვ და ის შეაკეთებს.

— ჰო, მართლა, ბაბუა ჯუანშერი ხომ სკამების ოსტატია!—გაახსენდა გენოს.

ბიჭებმა სკამი კუთხეში მიაგდეს, ჩანთები აიღეს და შინისაკენ გასწიეს.

მამუკა ოთახში შესვლისთანავე მიხვდა, რომ ბაბუა უფრო ავად გამხდარიყო. მამუკა კარგა ხანს იჯდა ავადმყოფ ბაბუასთან. სურდა მისთვის ეამბნა გენოსა და თავის გასაჭირზე, მაგრამ ბაბუა აბა როგორ დაეხმარებოდა ბიჭებს!

მამუკა დილით ადრიანად წამოხტა და დედას სურვილი გაანდო. დედამ დაარიგა: აბა, შენ იცი, ისე შეაკეთე, რომ ბაბუასაც გაეხარდესო.

ბიჭმა თუნუქის ქილა აიღო, რომელშიც ბაბუას ხის წებო ჰქონდა. მერე ჩაქუჩი და სახრახნისი მოძებნა, ბურღი შეარჩია. დედას დოლბანდის ნაჭერი გამოართვა და გზას გაუდგა. გენო სკოლის ჭიშკართან, გრძელ სკამზე დახვდა ჩამომჯდარი და მოსვლისთანავე მიახალა:

— მარო დეიდას მაინცდამაინც ჩვენი ოთახიდან დაუწუნია იატაკის დაგვა.

ბიჭები უკვე აივანზე იყვნენ. ამ დროს სკოლის დარაჯი ბაბუა ბართლომეც გამოჩნდა. დამლაგებელმა დამტვრეული სკამი უჩვენა დარაჯს და შესჩივლა:

— აი, როგორ დაუმტვრევიათ იმ ონავრებს!

— ჩვენ ვუშველით, ჩვენ!—გაბედა მამუკამ და თუნუქის ქილას ქაღალდი შემოხსნა.

— მერე შენ რა უნდა უშველო, ბიჭო?—გაკვირვებით ჰკითხა ბაბუა ბართლომემ.

— ეგ უშველის, თუ უშველის!—თქვა დაბეჯითებით მარო დეიდამ,—ეგ ჯუანშერის შვილიშვილია.

— ჰო, თუ ჯუანშერის შვილიშვილია, სკამების შეკეთებაც ეცოდინება, მაშ! კვიცი გვარზე ხტისო, ტყუილად ხომ არაა ნათქვამი. აბა, რა ვუყოთ ახლა, ოსტატო, ამ სკამს?

— ჯერ ცეცხლი უნდა დავანთოთ, მაგრამ ასანთი დამვიწყებია,—თქვა მამუკამ.

— ასანთი? აი, ასანთი!—გაიკრა ხელი ჯიბეზე ბართლომემ.

ქვევით ჩავიდნენ. მამუკამ წებო ცეცხლზე კარგად გაალღო, დოლბანდის ნაჭერი წებოიან ქილაში ჩააგდო და ჩხირით ჩურჩხელასავით ამოავლო. წებო რომ შეგრილდა, ხელით შემოახვია სკამის ფეხის თავს, სკამს ჭრილში შეურგო და ჩაქუჩით ნელა დაუკაკუნა.

ფეხის თავიც თანდათან ჭრილში ჩაჯდა.

მამუკა ახლა სჭვალის მორგებას შეუდგა სახრახნისით. ისიც ჯერ ადვილად ემორჩილებოდა ბიჭის პატარა ხელებს, შემდეგ თანდათან გაუჯიუტდა და მალე ბოლომდე მიეხრახნა. მამუკამ სკამი განზე გადგა და თქვა:

— ათ წუთში გაცივდება და მზად იქნება.

ამასობაში მართა დეიდამ დაალაგა საკლასო ოთახი და სათლით სანაგვე ყუთისაკენ გასწია. გზაზე ბაბუა ბართლომემ შეაჩერა:

— აბა, ერთი შეამოწმე ამ ხელოსნის ნამუშევარი!

დეიდა მარომ სკამი შეატრიალ-შემოატრიალა, გადმოაბრუნა:

— მოიცათ, გენაცვა, რომელი იყო ის ამოვარდნილი ფეხი?—იკითხა გაკვირვებულმა.—თქვენი ჭირიმე, ნამდვილი ოსტატის ნახელავია და ეგ არის! ახლა ამას ეშმაკიც ვეღარ გატეხს...

# ტურა რკინის გალიაში

ს. შანშიაშვილი

ზოოპარკის დირექტორი პატარა ბავშვებს დაუძღვებოდა და აცნობდა სპილოს, ვეფხვს, ირემს, აქლემს, დათვს და მაიმუნს. უამბობდა, საიდან მოიყვანეს და რას აჭმევდნენ. ბოლოს ერთ გალიასთან გაჩერდნენ. ამ გალიაში ტურა იყო მოთავსებული.

ბავშვებმა ტურას ყურადღება არც კი მიაქციეს, მაგრამ დირექტორმა ბავშვები შეაჩერა და უამბო მისი თავგადასავალი:

ერთხელ მშიერი მგელი დღისით-მზისით სოფელში შეიჭრა. გზაში ერთი ფეხმოტეხილი ბატი შემოხვდა.

მგელმა იფიქრა: ეს პატარაა, მე ვერ გამაძღობსო და ეორჩს დაუწყო ძებნა.

ხან ერთ ეზოს ჩაურბინა, ხან—მეორეს.

დაინახეს და ყიჟინა ასტეხეს. ძაღლები მიუსიეს და კუდით ქვა ასროლინეს.

ეს ამბავი ტურამ გაიგო, ჩაიცინა და თქვა:

— მგელი სულელი და ხარბია! დიდს ემებდა, პატარაც დაკარგა და თავსაც საფრთხეში იგდებდა! მე ასე არ მოვიქცეოდიო!



ადგა ტურა და მეორე დღეს სოფელში ფრთხილად წაცუნცულდა, არა დღისით და მზისით, არამედ როცა ბნელოდა და ყველას ეძინა. სწორედ ის ფეხმოტეხილი ბატი გაიტაცა, რომელიც მგელმა დაიწუნა, და ისე ჩუმად გაიტაცა, რომ პატრონს არც კი გაუგია, და რადგან ფეხმოტეხილი იყო, არც მოუკითხავს

მესამე დღეს საქათმიდან ვარია გააცუნცულა. მეოთხე დღეს—მამლაყინწა.

ეზოში ცხვარიც იყო, ყოჩიც, მაგრამ ტურა დიდ ცხოველს ხელს არ ახლებდა. იცოდა: დიდს ადვილად შეამჩნევდნენ და პატრონი მოიკითხავდა, მტაცებელს ძებნას დაუწყებდა...

ამრიგად, მძიმე-მძიმედ, შეუმჩნევლად, უდავიდარაბოდ ქურდობდა ტურა და, თუ რომელიმე დანაკარგს მოიკითხავდნენ, მგელს დააბრალებდნენ, რადგან მგელს სახელი ჰქონდა გატეხილი. ტურაზე ეჭვიც კი არ ეპარებოდათ, მაგრამ ბოროტი და ცუდი საქმე არავის შერჩება და არც ტურას შერჩა.



ნახატები ა. კანდელაკისა

ერთხელ საკუჭნაოში გადაძვრა. იქ მეხვიც იყო, ლორიც და ერბო-კარაქიც.

ყველა დასუნა და არჩევანში იყო, რომელი დაეთრია. გადაწყვიტა: მოდი, აქ ჯერ ერბოს შევექცევი და სოროში კი მეხვებს წავიღებო.

ერბოს ქილა ნახევრად იყო სავსე. ჩაჰყო თავი და ჭამა დაუწყო. როცა გამოძღა, აიწია და ქილა თან აჰყვა. ბევრი ეცადა, მაგრამ თავი ვეღარ ამოაძრო ქილიდან. გზას ვეღარ იკვლევდა; იქით მიეხალა, აქეთ მოეხალა. ერთ კუთხეში ჯამჭურჭელი ელაგა და სრულიად დაამსხვრია.

ამ ხმაურზე მოვარდა პატრონი და ეს პატარა ცხოველი რკინის გალიაში მოათავსა.

შემდეგ ზოოპარკში გადმოაბრძანეს და ბავშვები ეცნობიან მის თავგადასავალს.

ბავშვები ტურაზე ბრაზობდნენ და იძახდნენ:

— საძაგელი ყოფილა! ქურდი ყოფილა, რატომ არ დასჯით!

დირექტორმა ჩაიცინა:

— ბავშვებო! ტურა დასჯილია, რკინის გალიაში ზის და აქედან ვეღარსად წავა.



## ფისო ხაფანგში

გ. ბრიტო

დახეთ, თაგვის ხაფანგმა
დაიჭირა ფისო,
თაგვი კვდება სიცილით:
„ხაფანგში ვინ ზისო?!“

ტუსაღ ფისოს თაგუნამ
პურის ქერქი არგუნა,
ხაფანგს შემოურბინა,
ფისოს ფეხზე უკბინა.

და სოროსკენ მოჰკურცხლა...
ფისო ზის და ტირის;
თაგუნას კი სოროში
უჩანს მარტო ცხვირი.



## სპილო

დადის სპილო დიდი,
როგორც ინვალიდი.
თურმე კოღომ ფეხზე
ფეხი დააბიჯა;
ფეხი სტკივა სპილოს,
ჯოხით დადის დინჯად.

თარგმანი უკრაინულიდან
ი. სიხარულიძისა





დ. ხუროძე

## ექიმი

ია ამბობს:—ექიმი ვარ!—
ხალათს იცვამს სულ ქათქათას.
ყველას სინჯავს გულისყურით:
ფისოს, მურას, ქეთოს ქათამს.
რომ მიიღონ დარიგება,
ჰქონდეთ მადა, კარგი ჯანი,
რა ხანია რიგში დგანან
მარინე და დარეჯანი.

## ღია და წვიმა

თამაშობენ ბაღში წყნარად
პატარები სახლობანას,
უცებ წვიმა წამოვიდა,
მიწამ პირი დაიბანა.
ცაში მეხი აგრუხუნდა,
დარახუნობს თითქოს ხურო,
ლია ტირის:—რა იქნება,
დედი, ეს ცა გადავხუროთ!

## თოჯინები

ერთი შვილი კურდღელი მყავს
და მეორე მელაკუდა.
შემეჯავრენ ზარმაცები,
ორივეა ძილისგუდა.



# პრიალა ჩექმები

ნ. ბეზარაშვილი

ნახატი მ. ახობაძისა

ერთხელ მამაჩემმა რაღაც შეხვეული მომიტანა და მითხრა:

— ვანო, ისეთი რამ მოგიტანე, ხევი როგორც უნდა ადიდდეს, ველარაფერს დაგაკლებს.

— რა მომიტანე?—ვკითხე მამას.

მამამ გაშალა ქაღალდი და პრიალა რეზინის ჩექმები მომაწოდა. გამახსენდა გაზაფხულისა და შემოდგომის წვიმებზე ადიდებული ჩვენი ხევი. ვინ მოსთვლის, გამოღმელ გოგო-ბიჭებს რამდენჯერ გაგვიტოპია. ბიჭებს შარვლის ტოტები და გოგოებს კაბის კალთები გვისველდებოდა, სკოლის ეზოში ვიწურავდით სველ ტანსაცმელს და მობუზულები შევდიოდით ხოლმე კლასში.

გახარებულმა ჩექმები მაშინვე ჩავიცვი. კარგად მომერგო, თითქმის მუხლამდე მწვდებოდა. ცოტა მძიმე იყო, მაგრამ ხევში გასატოპად კი ნამდვილად გამოდგებოდა.

ჩექმები ცოტა ხანს მეცვა. მერე გავიხადე და აივნის კუთხეში მივაწყე. ამის შემდეგ დიდ წვიმებს ვნატრობდი, რომ ხევი ადიდებულიყო და ჩემი პრიალა ჩექმებით გამეტოპა. მაგრამ სწორედ ახლა დაიჭირა გვალვები. წვეთი რა არის, ისიც არ ჩამოვარდნილა ციდან.

ერთ დილას უცნაური ხმა შემომესმა.

— გუ-გუ-გუ, ტრახ-ტრახ-ტრახ,—რაღაც გრუხუნებდა ხევში.

მივაყურე და ვერ გამოვიცან, რისი ხმა იყო.

— ვანო, ხევში არ წამოხვალ?—შემომძახა ამხანაგმა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა. მეც სირბილით დავედევნე. ხევი სავსე იყო ტრაქტორებით. ღრმად თხრიდნენ მიწას. მაგრამ ტრაქტორებისათვის არც კი შევგვიხედავს, ჩვენ შევყურებდით ხევში ჩადგმულ რკინის მაღალ „კოშკს“, რომელსაც წვერზე ვეება ქაფჩა ეკიდა.

— ტრახ-ტრახ!..—უცბად აგრუხუნდა რკინის „კოშკი“ და მიწისაკენ დაეშვა.

– გადატყდა, ბიჭო!—შეჰყვირეს იქვე შეკრებილმა ბიჭებმა და შიშისაგან თვალები დააჭყიტეს. ეგონათ, გადატყდაო, მაგრამ არ გადატეხილა. ის მხოლოდ დაიხარა, ქაფჩა მოთხრილ მიწას შეუგდო, აავსო. მერე ისევ მაღლა ასწია, შემოტრიალდა და მიწა სხვა ადგილზე დაყარა.

— რა მანქანაა?—ვეკითხებოდით ერთმანეთს.

— ექსკავატორია. გაზეთში ან ტელევიზორში მაინც არ გინახავთ? საათში ათასი კაცის საქმეს აკეთებს!—გვიპასუხეს მოზრდილმა ბიჭებმა.

მთელ ზაფხულს ისმოდა ექსკავატორის გუგუნი. დათხარეს ხევის ნაპირები, საძირკველი ამოაშენეს და ხევზე დიდი რკინის ხიდი გადეს.

ახლა გამოღმელ გოგო-ბიჭებს ხევის ადიდება აღარ გვაშინებს. სკოლაში ისე მივდივართ, თითის წვერიც აღარ გვისველდება.

ჩემი პრიალა რეზინის ჩექმები კი, რომელიც აივნის კუთხიდან საცოდავად გამომყურებს, თითქოს მეუბნება:

რა იქნებოდა, მე და შენ ერთხელ მაინც გაგვეტოპა აქაფებულ ხევშიო!



# ჭკვიანი

რ. ქორქია

იყო ერთი კაცი, არავის დაპატიჟებდა, არავის გაუმასპინძლდებოდა. ერთხელ ეს კაცი ქადას მიირთმევდა. უცებ მეზობელი მიადგა კარს. კაცმა ქადის გადამალვა რომ ვერ მოასწრო, მაგიდის ქვეშ დადო. მეზობელმა და კაცმა კარგა ხანს ისაუბრეს, ბოლოს მეზობელი წავიდა. კაცმა კარამდე მიაცილა. რომ დაბრუნდა, ქადა აღარ დაუხვდა, ძაღლს დაეთრია.





# ყანჩა

ყანჩას უყვარს თევზი. ჩადგება წყალში, აიკეცავს ცალ ფეხს და უთვალთვალებს თევზს.

— რატომ არის, რომ ყანჩა ცალ ფეხზე დგას და ისე ნადირობს?—ჰკითხა სიკომ მამას.

— იმიტომ, შვილო, რომ ორივე ფეხი თუ აიკეცა, წყალში ჩავარდება,—გაუხუმრა მამა.

ნახატები ედ. ამბოკაძისა

## ხევსურული თამაშობა

3. ელაშვილი

ნახატები გ. რობინაშვილისა

ძველად ხევსურეთში არ იყო სკოლები. ბავშვებს შინ ასწავლიდნენ წერა-კითხვას და სხვადასხვა თამაშობებს, პატარაობიდანვე აჩვევდნენ მარდად სირბილს, მიზანში ქვის სროლას, შვილდის ტყორცნას, ხეზე მოხერხებულად აცოცებას თუ სიგრძეზე ხტომას.

ბავშვებო, თქვენც ხომ გითამაშიათ ჩილიკაჯოხი, ოთურმა, ლახტი, ქორო, ბუდეს დაგინგრევ. აი, როგორ თამაშობენ ახლაც ბავშვები ხევსურეთში. ასეთი ცოცხალი ვარჯიშით სიმარდესა და სიმკვირცხლეში იწაფებიან ისინი.



1. ბავშვები მიტყუპებულ ფეხებს განზე შლიან, აქ კი სიგრძეზე უნდა გადახტე.



2. ბიჭები ხელს ჩასჭიდებენ ერთმანეთს და მესამე ბავშვს სიგრძეზეც მოუხდება ხტომა და სიმაღლეზეც.



3. თუ ბიჭი ხარ, გადახტი!



1. აბა, დავიწყოთ: ორი ბავშვი ერთმანეთის პირისპირ ჯდება და ფეხებს ტერფებით მიატყუპებს. მესამე ბავშვი გამოიქცევა და გადაახტება.



2. ბიჭები ფეხს ფეხზე აწყობენ და სიმაღლე მატულობს.



3. ახლა ფეხის წვერზე მუშტებს დაიწყობენ.



4. შემდეგ მუშტებს მტკაველზე შლიან და გადახტომა უფრო ძნელდება.



5. ბავშვები იხოქებენ და თავებს ერთმანეთს ატყუპებენ. აბა, სცადე და გადაახტი!

## ბიჭუნა და მახრჩობელა

ბრაზილიაში ბევრია შხამიანი გველი, არიან მახრჩობელა გველებიც. მახრჩობელას არა აქვს შხამი, მაგრამ ძალიან ღონიერია და ელვასავით სწრაფი. არაჩვეულებრივი სისწრაფით თავს ესხმის მსხვერპლს, შემოეხვევა, გვერდებს შეუნგრევს, დაახრჩობს და მერე გადაყლაპავს.

მახრჩობელას ძლიერი თვეობით იშიმშილოს, მაგრამ როცა ჭამის მადაზეა, მეტისმეტი ღორმუცელაა. ზოოპარკში მოთავსებულმა ვეებერთელა მახრჩობელამ დიდი ცხვარი ნახევარ საათში გადაყლაპა. რამდენიმე დღის შემდეგ მსუქანი ვაცითაც ისადილა. ვეებერთელა მახრჩობელას არ გაუჭირდება კაცის დახრჩობა და გადაყლაპვა. მისი გამოჩენა თავზარს სცემს ცხოველებსა და ფრინველებს.

ბრაზილიაში ახალი ჩასული, ვიყავი, ტყეში სიარულს ვერიდებოდი, მეშინოდა, მახრჩობელას არსად გადავყროდი.

შუადღე იყო, ძალზე ცხელოდა, წყურვილმა შემაწუხა. სოფლის ბოლოში კოხტა სახლისაკენ ვიბრუნე პირი. ჭიშკართან რომ მივედი, შემზარავი სურათი დამიდგა თვალწინ: სახლის წინ ხუთიოდე წლის შავგვრემანი, თმახუჭუჭა ბიჭი თამაშობდა. იქვე იწვა უზარმაზარი მახრჩობელა და ბავშვის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. „როგორ გადავარჩინო ბავშვი? ნუთუ შინ არავინ არის?“ — გავიფიქრე, მინდოდა დამეყვირა, მაგრამ შიშმა ენა წამართვა.

ბავშვი რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა სახლს, პატარა ბურთი ზევით ააგდო. უშველებელი გველი მყისვე ბავშვისაკენ გასრიალდა...

ჩემს ყვირილზე კარი გაიღო, ხანში შესული კაცი ჩემსკენ გამოემართა, მხარზე დამადო ხელი და შეშფოთებით მითხრა:

— ავად ხომ არა ხართ?

მე მახრჩობელასაკენ ხელი გავიშვირე. მან მიიხედა, ერთ ხანს თვალი გაუშტერდა. მახრჩობელას ვერც მე მოვაშორე თვალი. იგი კლავდა ორმეტრიან ჩხრიალა გველს. მცირე ხანს იბრძოდა ორი მცურავი და ბოლოს მახრჩობელამ გაიმარჯვა.

— ჩხრიალა გველს ძლიერი შხამი აქვს, — მომიბრუნდა ბრაზილიელი გლეხი. — ჩხრიალა გველი დაინახეთ და იმიტომ მორთეთ ყვირილი?

— ჩხრიალა გველი სულ არ შემინიშნავს, მაგრამ ამ საშინელ მახრჩობელას განა ვერ ხედავთ? თოფი ხომ გაქვთ, ესროლეთ ჩქარა!

— მახრჩობელამ შეგაშინათ? — გაიცინა ბრაზილიელმა.

— დიახ, დიახ...

— ეგ მოშინაურებული მახრჩობელაა, ადამიანს არ ერჩის, სადაც ისაა, იქ სხვა შხამიანი გველი ვერ გაიჭაჭანებს. ვინ იცის, რამდენ ბრაზილიელ ბავშვს შეუნარჩუნა სიცოცხლე ამისთანა მახრჩობელამ. ისინი ბავშვების მეგობრები არიან და მათი მცველებიც.

მართლაც, მახრჩობელას თითქმის ყველა გლეხის ეზოში და ქალაქელთა სახლებშიც ვხვდებოდი.

ა. ლომიძე





ნახატი ე. ამბოკაძისა

ივ. ურჯუმელაშვილი

ნახატი ზ. კაპანაძისა

# მატარებელი

გივისა და შოთას სოფელი მაღალი მთის ფერდობზე იყო შეფენილი. დაბლა, ორი მდინარის შესართავთან მდებარე ქალაქი მოჩანდა. ბავშვები კარგად ხედავდნენ ქალაქისაკენ მიმავალ მატარებლებს.

«ნეტავი ერთხელ მაინც ჩაგვსვა მატარებელში და სადმე წაგვიყვანაო», — ნატრობდნენ ისინი.

ერთხელ მამამ გივი თბილისში წაიყვანა. სოფელში დაბრუნებისთანავე მან შოთას დაწვრილებით უამბო, თუ როგორ ჩასხდნენ მამა და ის თითქმის სახლისტოლა ვაგონში, როგორ დაიყვირა ორთქლმავალმა და დაიძრა გრძელი მატარებელი.

— ჰო, დინამოს სტადიონიც ვნახე, — უთხრა ბოლოს გივიმ. — იქვე ვეებერთელა ბაღია, რომელშიც საბავშვო მატარებელი დადის. გინდა დაიჯერე, გინდა არა, ეს მატარებელი თქვენებიანთ დათუას ტოლა ბიჭებს დაჰყავთ.

— არა, არ მჯერა, ჩვენებიანთ დათუას ტოლმა ბიჭებმა მატარებელი როგორ უნდა წაიყვანონ! — გაიკვირვა შოთამ.

— აი, წადი თბილისში და შენი საკუთარი თვალით რომ ნახავ, ნურც მაშინ დაიჯერებ! თუ გინდა, მოდი და ჩვენც გავაკეთოთ პატარა მატარებელი.

— მინდა, რატომაც არა.

გივის მამა დურგალი იყო. გივიმ სახლიდან ხერხი, ხელეჩო, ჩაქუჩი, შალაშინი და ლურსმანი გამოიტანა. შოთამ კი ფიცრები მოარბენინა.

ბავშვებმა პატარა ვაგონები გააკეთეს, ამოსჭრეს ფანჯრები, კარები და ერთმანეთს მავთულით გადააბეს; წინა ვაგონი შავად შეღებეს და საკვამლედ ძველი ძაბრი დაადგეს.

ბიჭები საგონებელში ჩავარდნენ, არ იცოდნენ, თვლები რისგან გაეკეთებინათ. ბოლოს გადაწყვიტეს, სამთვლიანი ველოსიპედის თვლები შეედგათ ვაგონებისათვის. თავიანთი უფროსი ძმების ველოსიპედებს რის ვაივაგლახით მოხსნეს თვლები და საბურველები გადააძრეს. თვლებს ჯოხის ღერძებიც გაუკეთეს. ორთქლმავალს ოთხი თვალი, ხოლო ვაგონს ორ-ორი თვალი შეუყენეს.

ცაცხვის ქვეშ მსხვილი მავთული გაჭიმეს. ეს იყო ლიანდაგი, რომელზეც მატარებელს უნდა გაევლო.

მატარებელი ფრთხილად შეაყენეს ლიანდაგზე.

გივიმ ცალი ხელი მაღლა ასწი-დასწია და დაიყვირა: — უუ... უუ!

ბიჭები ფრთხილად მიაწვნენ ვაგონს. მატარებელი აძიგძიგდა, მაგრამ, როგორც კი ხელი გაუშვეს, გაჩერდა.

— რატომ გაჩერდა? იქნებ რაიმეს გაკეთება დაგვავიწყდა? — თქვა შოთამ.

გივიმ თვალი ორთქლმავალს გაუშტერა და მცირე ფიქრის შემდეგ წამოიძახა:

— მომაგონდა, მომაგონდა, ორთქლმავალს ქვეშ ხომ ცეცხლი უნთია!

ბიჭებმა ხმელი ფიჩხი მოარბენინეს და ორთქლმავალს ცეცხლი შეუნთეს. გივიმ გულისგამაწვრი-

# ნახნავში

თ. ბათირაშვილი

ვაჟა ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით
მიჰყვებოდა ნახნავს,
ერთ ადგილას დიდზე დიდი
შავი ორმო ნახა.

გაინაბა, მაგრამ დიდხანს
არ დასჭირდა მოცდა
და სულ მალე შავ ორმოდან
თაგვი ამოცოცდა.

— აი, თურმე ვინ ყოფილა,
რომ გვიფუჭებს ყანას, —
თქვა ვაჟამ და თაგუნიას
ქვები დააყარა.



# ერთი მუჭა

კ. გოგიაშვილი

ერთი ციცქნა გოგოა
მეზობელი მანანა,
შემოაღებს კარებს და
შემოგვძახებს თამამად:

— რა იქნება, მომეცით
ერთი მუჭა კანფეტი,
ერთი მუჭა ჩურჩხელა...
მაშ, ტყუილად მოვედი?!

ქლიავი, მსხალი, ატამი,
გეხვეწებით, მაჰამეთ,
ერთ მუჭას გთხოვთ, მეტს არა,
გესმით? ნუ გამაჯავრებთ! —

თუ ხილს ვაჭმევთ — გვიცინის,
თუ არ მივცემთ, — აღარა,
ერთი მუჭა შევარქვით
აბეზარა მანანას.



ლებლად დაიყვირა, ცოტას მიაწვნენ კიდეც, მაგრამ მატარებელი მაინც არ ამოძრავდა. ამოძრავებას ვინ ჩივის, ორთქლმავალი ალში გაეხვია და ცეცხლი ვაგონსაც წაეკიდა.

—აბა, ჩქარა, წყალი!—შესძახა გივიმ და სახლისაკენ მოჰკურცხლა. შოთაც ფეხდაფეხ დაედევნა.

როცა ბავშვები წყლით სავსე დოქებით უკან მოცვივდნენ, მატარებელი ფერფლად ქცეულიყო, ლიანდაგს კვამლი ასდიოდა. გამურული ველოსიპედის თვლები ლიანდაგის აქეთ-იქით ეყარა.

— კიდევ კარგი, თვლებს არ წაეკიდა ცეცხლი,—თქვა გივიმ.

— მაშ, მაშ, თვლებიც რომ დამწვარიყო, რაღა დაგვრჩებოდა!—დაუდასტურა შოთამ.



# რა კარგია

გ. ლელიძე

რა კარგია,
რა ლამაზი
ჩვენი მთა და
ჩვენი მდელო...
დღეგრძელობდეს
და ხარობდეს
ორმოცი წლის
საქართველო!

# [illegible]

შ. სამადაშვილი

მსუნაგობისთვის გცალია,
თაგვს კი ვერ იჭერ მამაცად.
ვერ შეგიბრალებ,
იკნავლე,
განანე,
ერთი დამაცა!
რძეს ვაცივებდი...
მისვლამდე—
მომასწარ,
ამომისვლიპე.
თუ რამე
მოგაპარვინე,
ნულარ ვყოფილვარ
მარინე!





# მწყემსი

ბ. ირემაშვილი

უკვე ვაჟკაცს მეძახიან,
ნაბდის ქუდი მახარებს,
მინდორ-მინდორ მე და ძია
ცხენით მივალთ სხვა მხარეს.

ცხენს ხურჯინი გადაჰკიდებს,
უშიშარი მწყემსი ვარ,
ერთ თვალში თუ ცუგა ჩასვეს,
მეორეში მე ვზივარ!





ნახატები ი. არდიშვილისა

# ჭიდაობა

დათოს შავი მურია
მიმზერს ავი თვალით,
დათო თუ წავაქციე,
ვაი, ჩემი ბრალი!



# ვინც ჩაივლის

ჯ. კობერიძე

აქ ხრიოკი ველია,
ხე არ მოჩანს არსად.
თუკი გავისარჯებით,
აქ ამოვიყვანთ წყალსაც.

მერე ყანას დავთესავთ
და ყოველდღე მოვრწყავთ;
მობრძანდება ყაყაჩო
ლამაზად და მორცხვად,

გააწითლებს მიდამოს,
ამწვანებულ ველებს;
აქეთ არხი ჩაივლის,
იქ გაჩნდება ღელე.

სულ კარგ ხეებს გახარებთ,
სულ ხილსა და ვაზებს,
რომ ბიჭობა შეჰყვიროს,
ვინც ჩაივლის გზაზე.

# ნერგები

ი. ნადაშვილი

შრიალებენ ნერგები
ბლომად, ტანა ძეწნად,
დავრგეთ სულ პატარები,
დღეს რამხელებს გხედავთ.

ტანა მტრულად ხელს გახლებთ,
ან დაგსწვავთ დენით?
იშრიალონ, იხარონ,
აყარონ ტანი.

დაამშვენონ სამშობლო,
ლამაზი და ვრცელი,
რომ ბაღნარად გადიქცეს
ჩვენი მთა და ველი.



# ს ი კ ე თ ე

ოსური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კარგი ოჯახი. ამ ოჯახის შვილები კარგა ხანს ბედნიერად თვლიდნენ თავს. მაგრამ ეწვიათ უჩინარი უბედურება,— უთანხმოება ჩამოვარდა ამ სახლში. ყველა თავისკენ მიიწევდა, თითოეული ეძებდა მიზეზს, რაიმე წაერთმია მეორისათვის. ამის შემყურე მოხუც მამას გული სტკიოდა, მაგრამ ვერაფრით შველოდა.

ერთხელ მოხუცი ტყეში შეშაზე წავიდა. უცბად საიდანღაც ხმა შემოესმა:

— აქ რას აკეთებ, მოხუცო?

— რომელი ხარ?—გასძახა კაცმა.

— მე შენი ოჯახის სიკეთე ვარ. გამოგექეცით... თქვენს ოჯახში ყველა თავ-თავისაკენ მიიწევთ, სიამტკბილობა აღარ გაქვთ და თქვენთან არ დამედგომება.

— შენ მართალი ხარ,—დაეთანხმა მოხუცი,—მაგრამ ჩემს მოხუცებულობას ეცი პატივი და ისევ დაგვიბრუნდი.

— დაბრუნებით ვერ დავბრუნდები,—უპასუხა სიკეთემ,—ოღონდ შენს ოჯახში ვინც კი ხართ, ყველას—დიდს თუ პატარას, თითო თხოვნას შეგისრულებთ.

მოხუცი დაბრუნდა შინ და თავისიანებს ყველაფერი უამბო. ყველა თავისთვის ნატრობდა რაღაცას: ერთ ძმას უღელი ხარი უნდოდა, მეორეს—ბედაური ცხენები, მესამეს—მოვერცხლილი ქამარხანჯალი.

მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა პატარძალმა წაიჩურჩულა თავისთვის:

— სიკეთე და ერთმანეთის სიყვარული ნუ მოგვეშალოს!

სიკეთემ მარტო ამ პატარძალს შეუსრულა სურვილი. ოჯახში დაივიწყეს სიტყვა „ჩემი“ და „შენი“.

ამიერიდან ძმები ერთმანეთზე ზრუნავდნენ და სიკეთეც მათ ოჯახში სამუდამოდ დაბინავდა.

თარგმნა თ. ახალაიამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ხათუნა

ლექსი ა. შანშიაშვილისა

მუსიკა რ. გაბიჩვაძისა

ზომიერი სიჩქარით.




ვიშ, როგორ დახატულა
ჩემი ცელქი ხათუნა...
დედოფალას გაებუტა,
მოეფერა დათუნას.

დათუნიამ მეგობრულად
თათი მოუთათუნა.
ვიშ, როგორ დახატულა
ჩემი ცელქი ხათუნა...

მოუსმინეთ, ლექსსაც ამბობს
მშვენიერი ქართულით,
ჩვენი ქვეყნის ულამაზეს
ყვავილად დახატული.

ახლა კი უზრუნველად
თამაშით რომ გართულა,
გაიზრდება და დედ-მამას
გაახარებს ხათუნა.
ვიშ, როგორ დახატულა
ჩემი ცელქი ხათუნა!



ნახატი ლ. დანელიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავთავი

ნახატები ა. კანდელაკისა





უკრაინული ხალხური ზღაპარი

Იყო და არა იყო რა, იყო ორი თაგუნა — ბზრიალა და ტრიალა. იყო ერთი მამალი — მამლაყინწაც. თაგუნებმა მხოლოდ სიმღერა, ცეკვა და ბზრიალ-ტრიალი იცოდნენ. მამლაყინწა კი ალიონზე დგებოდა, ჯერ ყველას დაალვიძებდა, შემდეგ კი თავის საქმეს მიხედავდა ხოლმე.

ერთხელ მამლაყინწამ ეზოში პურის თავთავი იპოვა.

— ბზრიალა! ტრიალა! — დაუძახა თაგვებს, — ნახეთ, რა ვიპოვე!

დახედეს თაგუნებმა პურის თავთავს და თქვეს: ამას ახლა გალეწვა უნდაო.

— ვინ გალეწავს? — იკითხა მამლაყინწამ.

— მე არა! — წამოიძახა ბზრიალამ.

— არც მე! — დაიძახა ტრიალამ.

რაღას იზამდა მამლაყინწა, შეუდგა ლეწვას. თაგუნებმა ჩოგან-ბურთის თამაში გამართეს.

— ჰეი, ბზრიალავ, ტრიალავ, ნახეთ, რამდენი მარცვალი გამოვლეწე! — გასძახა მამლაყინწამ მათ.

მოირბინეს თაგუნებმა და დაიწრიპინეს, ახლა მარცვალი უნდა დაიფქვასო.

— ვინ წაიღებს წისქვილში? — იკითხა მამლაყინწამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე არა!—წამოიძახა ბზრიალამ.

— არც მე!—დაიძახა ტრიალამ.

— კეთილი!—თქვა მამალმა,—მე წავიღებ საფქვავს წისქვილში.—ტომარა ზურგზე მოიკიდა და წისქვილისაკენ გასწია. თაგუნებმა კი ოთურმას თამაში გააჩურეს.

მამლაყინწა წისქვილიდან დაბრუნდა და დაიძახა:



— ბზრიალავ! ტრიალავ! აქეთ მოდით, ფქვილი მოვიტანე!

მოირბინეს თაგუნებმა, დაინახეს ტომარა და თქვეს:

— აი, ყოჩაღ, მამლაყინწავ, ახლა ცომი უნდა მოიზილოს.

— ცომს ვინ მოზელს?—იკითხა მამლაყინწამ.

თაგუნებმა ისევ დაიწრიპინეს: მე არა! მე არაო!

რაღას იზამდა, მოზილა მამლაყინწამ ცომი, მოიტანა შეშა. როგორც კი ღუმელი გახურდა, მამლაყინწამ ღვეზელი შედგა გამოსაცხობად. თაგუნებიც დროს არა ჰკარგავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მხიარულობდენ.

როცა ღვეზელი გამოცხვა, მამლაყინწამ სუფრაზე დადო. თაგუნებიც მაშინვე იქ გაჩნდნენ, დაძახება არ დასჭირვებიათ.

— ვაი, როგორ მშია!—აწრიპინდა ბზრიალა.

— მეცა მშია!—დაიწრიპინა ტრიალამ.

— მოიცათ, მოიცათ! ჯერ ეს მითხარით, ვინ იპოვა პურის თავთავი?—უთხრა თაგუნებს მამლაყინწამ.

— შენ იპოვე!—დაიძახეს თაგუნებმა.

— გალეწით ვიღამ გალეწა?

— შენ გალეწე!—ხმას დაუწიეს თაგუნებმა.

— საფქვავი ვინ წაიღო წისქვილში?

— შენ წაიღე!—დარცხვენით უპასუხეს წრუწუნებმა.

— ცომი ვინ მოზილა? შეშა ვინ მოიტანა? ღუმელი ვინ გაახურა, ღვეზელი ვინ გამოაცხო?

— ყველაფერი შენ გააკეთე! ყველაფერი!—ძლივს წრიპინებდნენ თაგუნები.

— თქვენ რაღას აკეთებდით?

რაღა უნდა ეპასუხათ? ბზრიალა და ტრიალა სუფრას მოსცილდნენ, მამლაყინწამ წრუწუნები აღარ მოაბრუნა.

არც ღირდა ასეთი ცუღლუტების და ზარმაცების გამასპინძლება ღვეზელით.

თარგმნა **ე. ჭავჭავაძემ**



ყდის მხატვრობა ეკუთვნის **რევაზ ჩუჩქირიძეს**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთოთხმეტე წელი ფასი 20 კაპ.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული", რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 213, სტამბის შეკვ. № 1338 ტირაჟი 32000

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI 1961 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина

№ 6 июнь, 1961 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.

ნ 45/259

ეროვნული
ბიბლიოთეკა

